



სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან:

36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 525; დამოუკიდებელი - 311, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 64)

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 600)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი - უნარების ტესტის მინიმალური ზღვარი აქვს გადალახული, ან აქვს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელსაც პროფესიული სწავლების IV დონის შესაბამისად შეეძლება მოდელების შექმნა გარკვეული დამოუკიდებლობით, მისი ტექნოლოგიური დამუშავება და საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენება.

VII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<i>იგის</i> სამოსის მოდელირების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის გარკვეული ელემენტების გამოყენება და აქვს პრაქტიკული ცოდნა სწავლების შესაბამისი საფეხურის მიხედვით. ფლობს მოდელის შექმნის აუცილებლობას, კონსტრუქციის ძირითადი სქემის შედგენას, თარგების გამოყენებას სამოსის გამოჭრის დროს, გამოყენებულ მანქანებსა და დანადგარებს, მათ მოვლას მოწესრიგებას, შეუძლია ხელსაწყოებისა და საკერავი მანქანის გამოყენება. მანქანის აშლილობების აღმოჩენა და აღმოფხვრა შეძენილი ცოდნის მიხედვით, რომელიც ეხმარება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების ზოგად გაცნობიერებაში და მათ გადაჭრაში. <i>აცნობიერებს</i> დარგის აუცილებლობას, ფლობს ლიტერატურას სამკერვალო დარგზე და აქვს უნარი მისი გამოყენებისა და სწავლის გაგრძელების შემდეგ საფეხურზე.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<i>შეუძლია</i> ესკიზის შექმნისა და დამუშავების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი ლიტერატურა, გაანალიზოს მის მიერ შერჩეული დამუშავების მეთოდი და შეაფასოს მიღებული შედეგი არსებულ მეთოდებთან მიმართებაში.
დასკვნის გაკეთების უნარი	<i>შეუძლია</i> მიღებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით: 1. დასკვნის გაკეთება; 2. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ახალი მოდელის შექმნა და დამუშავება.
კომუნუკაციის უნარი	<i>შეუძლია</i> უცხო ენაზე გარკვეული სახის მასალების მოძიება, რაც აუცილებელია სამოსის შექმნის პროცესისათვის. აქვს უნარი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა, ზეპირი და წერილობითი ურთიერთობების დამყარებისა სამკერვალო დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ნაწარმის შექმნისა და დამუშავებისას.
სწავლის უნარი	<i>აქვს უნარი</i> სამკერვალო ნაწარმის მოდელირების, კონსტრუირების, ტექნოლოგიის, მანქანა-დანადგარების შესწავლის შემდეგ გაიზიაროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული განვითარების შემდეგი საფეხურები სხვისი დახმარებით.

ღირებულებები	აქვს უნარი პროფესიული საქმიანობისადმი შესაბამისი საფეხურის ცოდნის გამოყენებისა მინიჭებული იმ ღირებულებებით, რომლებიც საჭიროა სამკერვალო ნაწარმის მოდელირებისა და დამუშავებისათვის. იცნობს უსაფრთხოების წესებს და აქვს პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობისადმი.
--------------	---

VIII. სწავლის შედეგების რუკა

I სემესტრი

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამკერვალო ნაწარმის მასალები, მოდელირება, კონსტრუირება, ტექნოლოგია, მანქანები და პრაქტიკა სერვისისა და ინდუსტრიული წარმოებისათვის	X	X	X			
ინგლისური ენა	X	X		X		
ინფორმატიკა	X	X		X		
მეწარმეობის საფუძვლები	X	X			X	

I სემესტრი

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა სერვისისა და ინდუსტრიული წარმოებისათვის და სამოსის კონსტრუირების საფუძვლები	X	X				
სამკერვალო ნაწარმის ხატვა, მოდელირების კომპოზიცია და სამოსის მხატვრული გაფორმება, აქსესუარები	X	X				
მსუბუქ მრეწველობაში გამოყენებული მანქანები	X	X				
სამოსის გასაფორმებელი დეტალების დამუშავების ტექნოლოგია (ქსოვა, ქარგვა, გობელენი)		X			X	

**IX. სასწავლო გეგმა
I სემესტრი**

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1. სამკერვალო ნაწარმის მასალები, მოდელირება, კონსტრუირება, ტექნოლოგია, მანქანები და პრაქტიკა სერვისისა და ინდუსტრიული წარმოებისათვის	6 12	60/55		300		8	37	150 300
2. ინგლისური ენა	5	60				8	57	125
3. ინფორმატიკა	5	60				8	57	125
4. მეწარმეობის საფუძვლები	5	30				8	57	125
სულ	33	285		300		32	208	825

II სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1. სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა სერვისისა და ინდუსტრიული წარმოებისათვის და სამოსის კონსტრუირების საფუძვლები	6 12	60/55			300	8	37	150 300
2. სამკერვალო ნაწარმის ხატვა, მოდელირების კომპოზიცია და სამოსის მხატვრული გაფორმება, აქსესუარები	3	/45				8	22	75
3. მსუბუქ მრეწველობაში გამოყენებული მანქანები	3	15/30				8	22	75
4. სამოსის გასაფორმებელი დეტალების დამუშავების ტექნოლოგია (ქსოვა, ქარგვა, გობელენი)	3	/45				8	22	75

სულ	27	240			300	32	103	675
-----	----	-----	--	--	-----	----	-----	-----

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პორტფოლიო;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 ლაბორატორიული სამუშაო;
 სასწავლო პრაქტიკა;
 საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.
 (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მუხლი 12. პროფესიული განათლების მასწავლებელი (21.07.2010. N3529 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
სამკერვალო ნაწარმის მასალები, მოდელირება, კონსტრუირება, ტექნოლოგია, მანქანები და პრაქტიკა სერვისისა და ინდუსტრიული წარმოებისათვის	დევიძე ლიანა კაპანაძე ლია	უფ. მასწავლებელი დოქტორი
სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია და პრაქტიკა სერვისისა და ინდუსტრიული წარმოებისათვის და სამოსის კონსტრუირების საფუძვლები	ლურსმანაშვილი ლია დევიძე ლიანა	დოქტორი უფ. მასწავლებელი
სამკერვალო ნაწარმის ხატვა, მოდელირების კომპოზიცია და სამოსის მხატვრული გაფორმება, აქსესუარები	გზირიშვილი ნინო ქორჩილავა დალი	დოქტორანტი, მხატვარ მოდელიორი დოქტორანტი, მხატვარ-მოდელიორი
მსუბუქ მრეწველობაში გამოყენებული მანქანები	კაპანაძე ლია	დოქტორი
სამოსის გასაფორმებელი დეტალების დამუშავების ტექნოლოგია (ქსოვა, ქარგვა, გობელენი)	ფხაკაძე ნანი გზირიშვილი ნინო	დოქტორი დოქტორანტი
ინფორმატიკა	ნიჟარაძე მზიანა	მასწავლებელი
ინგლისური ენა	ჩხეიძე ანა	მასწავლებელი
მეწარმეობის საფუძვლები	იუნონა მარგალიტაძე	მასწავლებელი

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-ს 9 კორპუსი მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგიის 1126 მიმართულების სახელოსნო-ლაბორატორია.

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სტუ-ს 9 კორპუსის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგიის ¹126 მიმართულების სახელოსნო-ლაპორატორიაში.

სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია “მსუბუქი მრეწველობა” – გორგასალის 61

რუსთავის ტყავის გამოყვანის ქარხანა შპს “ფილიმასკაჯი” – ქ. რუსთავი, მშვიდობის 12

შპს “სტიმული” – ბოლქვამის 3

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროგრამით.